სსიპ საქართველოს
სტანდარტებისა და მეტროლოგიის
ეროვნული სააგენტო

0178, თბილისი, საქართველო, ჩარგლის ქ. №67
ტელ.: (99532) 261 25 30
ფაქსი: (99532) 261 35 00
ელ-ფოსტა: info@geostm.ge

LEPL GEORGIAN
NATIONAL AGENCY OF
STANDARDS AND METROLOGY

№67 Chargali str., 0178 Tbilisi, Georgia
Tel.: (99532) 261 25 30
Fax: (99532) 261 35 00
E-mail: info@geostm.ge

15.02.2019 № 65

სს „თელასის“ ტექნიკურ დირექტორს
ბატონ ვახტანგ ქინქლაძეს

ბატონო ვახტანგ,

თქვენს 2019 წლის 07 თებერვლის №0207/549/19 წერილზე გაცნობებთ, რომ წერილში მითითებული სტანდარტებიდან დსთ-ს ქვეყნების მთავრობათა მეთაურების 1992 წლის 13 მარტის შეთანხმების „სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სფეროში შეთანხმებული პოლიტიკის გატარების შესახებ“ საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი სახელმწიფოთაშორისო სტანდარტები:

გოსტ 24.701-86;
გოსტ 34.201-89;
გოსტ 34.602-89;
გოსტ 34.603-92;
გოსტ 2.601-2013.

რუსეთის ფედერაციის სტანდარტები აბრევიატურით გოსტ რ საქართველოს ტერიტორიაზე არ მოქმედებს, ხოლო ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმძღვანელო დოკუმენტები და წესები არ განეკუთვნება სააგენტოს კომპეტენციას.

რაც შეეხება სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ისო) და საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის (იეკ) სტანდარტებს ისო/იეკ 15408-2:2008 და იეკ 60950:2005, ჩვენ შეგვიძლია მოგაწოდოთ მათი ორიგინალი ვერსიები თავისი ცვლილებებით ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 69-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად „ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებად, სტანდარტის, მათ შორის მეთოდის, შერჩევა ნებაყოფლობითია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტექნიკურ რეგლამენტში მითითებულია კონკრეტული სტანდარტის შესრულების სავალდებულოობა“.

პატივისცემით,
გენერალური დირექტორი

LEPL Georgian National Agency for Standards and Metrology
Digitally signed by LEPL Georgian National Agency for Standards and Metrology
Date: 2019.02.15 17:19:20 +04'00'

დავით ტყემალაძე